თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2026 წლის 20 თებერვლის სხდომის

ო ქ მ ი N 1

2026 წლის 20 თებერვალს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ვალერიან ვაშაკიძე, მარიამ ჩხარტიშვილი, ვახტანგ გოილაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, ქეთევან ხუციშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, სალომე ოქრუაშვილი, ლიანა ბითაძე** (ჩაერთო დისტანციურად). საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. **თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გრიფის მინიჭება პუბლიკაციებისათვის:**
   - **„კოვიდ პანდემია და საქართველო: ახალი რეალობის ანთროპოლოგიური კვლევა“** (ავტორები: თეა ქამუშაძე, ქეთევან ხუციშვილი, თ. ანთაძე, თ. კოშორიძე, გ. ჭეიშვილი);
   - **„კოვიდ პანდემია და საქართველო: ისტორიას დარჩება ჩვენი ხმა“;**
2. **თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გრიფის მინიჭება პუბლიკაციისათვის: „მონადირეობა დასავლეთ საქართველოს მთიანეთში (ლეჩხუმი)“** (ავტორი ლერი ლევიძე).
3. **მიმდინარე საკითხები.**

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. **თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გრიფის მინიჭება პუბლიკაციებისათვის:**
   - **„კოვიდ პანდემია და საქართველო: ახალი რეალობის ანთროპოლოგიური კვლევა“** (ავტორები: თეა ქამუშაძე, ქეთევან ხუციშვილი, თ. ანთაძე, თ. კოშორიძე, გ. ჭეიშვილი);
   - **„კოვიდ პანდემია და საქართველო: ისტორიას დარჩება ჩვენი ხმა.“**

ლავრენტი ჯანიაშვილი: თსუ-დან სარეცენზიოდ შემოვიდა ავტორთა კოლექტივის მიერ შესრულებული ორი მონოგრაფიული ნაშრომი, რომლებსაც ინსტიტუტის გრიფი უნდა მიენიჭოს; აღნიშნული ნაშრომები მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით. მე მოვამზადე რეცენზიები, რომლებიც ოქმს თან ერთვის (დანართი 2) და რეკომენდაციას ვუწევ ნაშრომებს გამოსაცემად.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** გიორგი ჭეიშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ, როლანდ თოფჩიშვილმა და სხვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე - 10 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 2.

დაადგინეს: მიენიჭოს თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გრიფი მონოგრაფიულ ნაშრომებს - „კოვიდ პანდემია და საქართველო: ახალი რეალობის ანთროპოლოგიური კვლევა“ (ავტორები: თეა ქამუშაძე, ქეთევან ხუციშვილი, თ. ანთაძე, თ. კოშორიძე, გ. ჭეიშვილი) **და „კოვიდ პანდემია და საქართველო: ისტორიას დარჩება ჩვენი ხმა.“**

2. თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გრიფის მინიჭება პუბლიკაციისათვის: „მონადირეობა დასავლეთ საქართველოს მთიანეთში (ლეჩხუმი)“ (ავტორი ლერი ლევიძე).

ლავრენტი ჯანიაშვილი: ინსტიტუტის ისტორიულ და ეთნოლოგიურ საარქივო ფონდში ინახება ყოფილი თანამშრომლის - ეთნოგრაფ ლერი ლევიძის ხელნაწერი წლიური ნაშრომები, საველე-ეთნოგრაფიული ჩანაწერები, რომლებიც საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალას წარმოადგენს. გასულ წელს მოხდა ამ მასალის ელექტონული ვერსიის შექმნა, რომელიც ახლა რედაქტირების პროცესშია და მიმდინარე წელს, ინსტიტუტის დაფინანსებით დაგეგმილია მისი გამოცემა. მე რეკომენდაციას ვუწევ ნაშრომს გამოსაცემად.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** გიორგი ჭეიშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ, როლანდ თოფჩიშვილმა და სხვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: მიენიჭოს თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გრიფი ნაშრომს - „მონადირეობა დასავლეთ საქართველოს მთიანეთში (ლეჩხუმი)“ (ავტორი ლერი ლევიძე).

3. მიმდინარე საკითხები.

გიორგი ჭეიშვილი: მიმდინარე წლის სექტემბერში ინსტიტუტში დაგეგმილია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება, რომელიც მიეძღვნება აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის იუბილეს. განყოფილებების ხელმძღვანელებს გთხოვთ, დროულად გაავრცელოთ ინფორმაცია თქვენ განყოფილებებში, რათა თანამშრომლებმა შეძლონ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ლავრენტი ჯანიაშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ, სალომე ოქრუაშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, გიორგი ჭეიშვილმა და სხვა.

სხდომამ დაადგინა:

1. მიენიჭოს თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გრიფი მონოგრაფიულ ნაშრომებს - „კოვიდ პანდემია და საქართველო: ახალი რეალობის ანთროპოლოგიური კვლევა“ (ავტორები: თეა ქამუშაძე, ქეთევან ხუციშვილი, თ. ანთაძე, თ. კოშორიძე, გ. ჭეიშვილი) **და „კოვიდ პანდემია და საქართველო: ისტორიას დარჩება ჩვენი ხმა.“**
2. მიენიჭოს თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გრიფი ნაშრომს - „მონადირეობა დასავლეთ საქართველოს მთიანეთში (ლეჩხუმი)“ (ავტორი ლერი ლევიძე).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ლავრენტი ჯანიაშვილი**

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: **ლიანა ბითაძე**

20. 02. 2026

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2026 წლის 20 თებერვლის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ზხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ზითაძე
- ვალერიან ვამაკიძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- ალექსანდრე დაუშვილი
- ელდარ ზუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი

რეცენზია ნაშრომზე **„კოვიდპანდემია და საქართველო -ისტორიას დარჩება ჩვენი ხმა“**

კაცობრიობამ უკან მოიტოვა COVID 19 ის პანდემიის წლები. ეს იყო საყოველთაო ეიფორიის ჟამი, როდესაც უხილავი ვირუსისაგან სიკვდილის ან ძვირფასი ადამიანების დაკარგვის მოლოდინში მყოფი, სოციალურად იზოლირებული ადამიანები მოწყდნენ მათთვის ჩვეულ გარემოს, ვეღარ საქმიანობდნენ, ვეღარ ერთობოდნენ, ვეღარ მხიარულობდნენ, ემოციებს და გრძნობებსაც კი ვეღარ გამოხატავდნენ ძველებურად. ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენის, ერთი შეხედვით კეთილშობილური, მიზნით ხელისუფლებამ დააწესა მრავალრიცხოვანი აკრძალვები, ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება სიურეალისტურ ყაიდას დაემსგავსა. ამგვარი არაორდინალური ვითარება ნოყიერი ნიადაგია მემუარული ლიტერატურის განვითარებისათვის, იმისათვის, რომ ადამიანებმა დეტალურად აღწერონ თავიანთი ყოველდღიური განცდები და მოვლენები, რომლებიც მათ ირგვლივ განვითარდა.

წინამდებარე ინტერვიუების და დღიურების კრებული კიდევ ერთხელ გვაბრუნებს კომენდანტის საათისა და „ლოკდაუნის“ პერიოდში, გვახსენებს იმ განცდებს რომლითაც ვცხოვრობდით მაშინ; საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ, რამდენად ეფექტური იყო სახელმწიფო კოვიდპოლიტიკა; რამდენად მორალური იყო ადამიანთა ქცევა და როგორი იყო თითოეული ჩვენთაგანი. უნებურად გვიჩნდება კითხვა როგორ შეგვცვალა კოვიდპანდემიამ და საით მიდის ჩვენი საზოგადოება, რამდენად მზად ვართ გამოწვევებისათვის, რომლებსაც მომავალი უმზადებს კაცობრიობას?!

რა თქმა უნდა , წიგნი ღირებულია როგორც რიგითი ადამიანების თვალით დანახული კოვიდრეალობის დოკუმენტირება. ამ მხრივ იგი შეიძლება ჩვენი უახლესი ისტორიის შესწავლის ერთგვარ წყაროდაც გამოდგეს.

ნათქვამიდან გამომდინარე, მხარს ვუჭერ ხსენებული ნაშრომის გამოცემას.

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი იმდ ლ. ჯანიაშვილი

09.02.2026

რეკომენდაციები ნაშრომზე – „კოვიდ პანდემია და საქართველო: ახალი რეალობის ანთროპოლოგიური კვლევა"

(ავტორები: ო. ქაბუშაძე , ო.ბინაძე, თ. კობერიძე, გ. ჭეიშვილი, ქ. ხუციშვილი)

ქართული ეთნოლოგიური სკოლა თავისებურად ასახავს იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პერიპეტიებს რომელიც ქვეყანამ ამ უკანასკნელი რამდენიმე ასწლეულის მანძილზე გაიარა. საჭიროა კვლევაში დროსაც კი, როდესაც ჩვენს აკადემიურ სისტემას ეზღუდებოდა დამოუკიდებლად, თავისებურად და ეროვნული ინტერესების შესაბამისად ეწარმოებინა ჰუმანიტარული დისციპლინების მიმართულებათა კვლევა-ძიება, მას მაინც ვერ განეხილაოთ ტიპური კოლონიური ქვეყნის მეცნიერებად. ამის მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს ეთნოგრაფიის (ეთნოლოგიის) განვითარების რთული ისტორია. ასევე ეთნოლოგიისა თუ ანთროპოლოგიის ადგილისა და მათი სახელდების გარკვევის მცდელობები თანამედროვე ქართულ აკადემიურ დისკურში. შედეგად, ღია თუ ფარული დისკუსიებისა და ოპონირების ფონზე შეიქმნა ჩრავალი ორიგინალური სამეცნიერო პუბლიკაცია.

წინამდებარე ნაშრომი სოციალურ-ანთროპოლოგიის მეთოდოლოგიურ ბაზაზე დამყარებულ კომპლექსურ გამოკვლევას წარმოადგენს. იგი თანამედროვე მსოფლიოში, ბიოლოგიური საფრთხის საფუძველზე, აღმოცენებული გლობალური სოციო-კულტურული კრიზისის, საქართველოს მასშტაბით შესწავლის ჩემთვის ცნობილი, პირველი მცდელობაა. წიგნის ავტორები, ერთი მხრივ, თავს არიდებენ ცოლნის შექმნის საჭიროთ ინერციას და პროცესებს პოსტკოლონიური პარადიგმის (რისმეცილი სხვადასხვა ცვლილებულ მიმართულებებს მოიცავს) შეეფერ განიხილავენ. მეორე მხრივ კი, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნეოკოლონიური მიდგომების გაფართოების ცდილობენ.

ხსენებულ თეორიულ საფუძველზე დაყრდნობითაა განხილული შემდეგი საკითხები: კოვიდ პანდემია, ქართული ეთნოლოგიური სკოლა და პოსტკოლონიური აკადემიური რეფლექსიები, პანდემიის ეფექტი - როცა სახელმწიფო მარწყვლიში შეხვდა მოქალაქეებს; ონლაინ რელიგია - კოვიდპანდემიის ეფექტი და რელიგიური პრაქტიკა საქართველოში, სამედიცინო სერვისის ფორმების ძიება კრიზისის დროს - ტელემედიცინა და კოვიდპანდემიის გამოცდილება საქართველოში; ტრადიციული ყოფის ელემენტებზე COVID 19 ის რეგულაციების გავლენა შიდა ქართლის რამდენიმე სოფლის მაგალითზე, პანდემიის გამოწვევები და შესაძლებლობები ბორის მუზეუმის გამოცდილება - „ჩაკეტვა-განახლებისთვის"; ჟამიანობა: პანდემია, საზოგადოება, კრიზისის დრო და საქართველო; პანდემიის გავლენა: "სოციალური

დისტანციის" მოთხოვნასთან ადაპტირება საქართველოს მაგალითზე, პანდემია და საზღვრო ურთიერთობები: საქართველოს მაგალითი.

წიგნის ძირითადი ნაწილი ეფუძნება მრავალფეროვან ემპირიულ მასალას, რომელის გაანალიზებითაც მკვლევარებმა გაიაზრეს ქართული კონტექსტი. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ წინამდებარე ნაშრომი ის გამონაკლისია, როდესაც მკვლევარებმა შეძლეს საზოგადოების განწყობებისა და სოციოკულტურული ტრანსფორმაციის პროცესის დაფიქსირება „ცხელ კვალზე."

„ლოქდაუნის" პერიოდში რადიკალურად შეიცვალა საზოგადოებრივი ყოფისა და ყოველდღიური ურთიერთობის ფორმები. განხორციელდა ეკონომიკური საქმიანობის, სამედიცინო კონსულტაციის, სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის და საკომუნიკაციო სისტემების ტოტალური ინტერნეტიზაცია. ამასთანავე, სახელმწიფო აპარატის ნაჩქარევი და მოუმზადებელი გადაწყვეტილებები ხშირად გაუგებარი იყო მოსახლეობისათვის (მაგ. ურბანული და რეგიონული ჯგუფებისათვის) და უარყოფით რეაქციას იწვევდა. ნაყოფიერი ნიადაგი შეიქმნა შეთქმულების თეორიების, ანტივაქსერობის და მრავალნაირი დეზინფორმაციისათვის.

საზოგადოებისათვის მძიმე იყო, რომ კოვიდპანდემიის რეგულაციებმა აკრძალა საუკუნეების მანძილზე შესისხლხორცებული რიტუალები და დღესასწაულები (მაგ. გერისთობა, ქორწილი და ა.შ). ცალკეულ შემთხვევაში მოსახლეობა შეეჩვია გარკვეულ შეზღუდვებს და მიიღო კიდეც ის (მაგ. ხალხმრავალი ქელეხების გამართვა). ამგვარი გამოცდილების მიუხედავად, გაჩნდა საშიშროება, რომ პანდემიის პირობებში, განსაკუთრებული მდგომარეობის გამო დაშვებული თავისუფლების შეზღუდვის პრეცედენტები, გარკვეულ ნორმად ჩამოყალიბდება და ადამიანის ძირითადი უფლებების რეალიზაციას დააბრკოლებს. რადგან „თანამედროვე პოლიტიკა დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლის სრული კონტროლით და საგანგებო მდგომარეობა არის არა გამონაკლისი, არამედ ნორმა, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო ინარჩუნებს კონტროლს სიცოცხლეზე".

მაქვს რამდენიმე არაარსებითი შენიშვნაც, რომლებიც ავტორებს გავაცანი. მათი გათვალისწინება, ჩემი აზრით, მხოლოდ წაადგება ამ საინტერესო კრებულს. ზემოთქმულიდან გამომდინარე ნაშრომის პუბლიკაცია მიზანშეწონილად მიმაჩნია.

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ისდ ლ. ჯანიაშვილი

07.02.2026